

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

დამტკიცებულია

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის
2019 წლის 5 სექტემბრის N 35 ბრძანებით

საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო), Pharmacy

2019

ქ. მარნეული

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy

2. სარეგისტრაციო ნომერი: 09110-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში, fifth level of professional qualification in pharmacy.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება ვიწრო სფეროს ჯანდაცვა, დეტალურ სფეროს - ფარმაცია (კოდი 0916).

4. მიზანი

ჩარჩო დოკუმენტის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების-განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად შუა წამლის ფორმის დაფასობას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

5. დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება.

6. დასაქმების შესაძლებლობები: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციით ფარმაციაში (სააფთიაქო) პირს შეუძლია დასაქმდეს აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე. ფარმაციაში ასოცირებული ხარისხის კვალიფიკაციით პირს შეუძლია დასაქმდეს აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე.

7. სტრუქტურა და მოდულები: პროფესიული პროგრამა განსაზღვრავს ერთ კონკრეტულ კვალიფიკაციას - ფარმაცია (სააფთიაქო). პროგრამა მოიცავს ზოგად მოდულებს 11 კრედიტის მოცულობით, პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 109 კრედიტის მოცულობით და არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით. შესაბამისი მოდულების გავლით პირი ეუფლება ცოდნას და კვალიფიკაციისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევები.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

კვალიფიკაციის მამიებელმა უნდა დააგროვოს 123 კრედიტი, რათა მიიღოს შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი ტიპის მოდულები:

- ზოგადი კომპეტენციების განმავითარებელი - 11 კრედიტის მოცულობით;
- პროფესიულ/დარგობრივი მოდულები - 109 კრედიტის მოცულობით.
- არჩევითი მოდული - 3 კრედიტის მოცულობით.

პროფესიული პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: 22 სასწავლო თვე.

პირს, რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა, მისთვის პროგრამის მოცულობაა 123 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 22 სასწავლო თვე);

პირს, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 153 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 28 სასწავლო თვე);

შენიშვნა: მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ცოდნა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	სრული ზოგადი განათლება	3
2	მეწარმეობა 3	სრული ზოგადი განათლება	3
3	ინგლისური ენა	სრული ზოგადი განათლება	5
სულ 11 კრედიტი			
პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
4	სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში	წინაპირობის გარეშე	3
5	სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია	წინაპირობის გარეშე	3
6	სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება	<ol style="list-style-type: none"> 1. სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია; 2. ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები; 3. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების 	5

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

		დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში.	
7	მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება	<ol style="list-style-type: none"> 1. სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია; 2. ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები; 3. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში. 	5
8	მცირე შეფუთვებამდე მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება	წინაპირობის გარეშე	2
9	პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება	წინაპირობის გარეშე	4
10	მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში	წინაპირობის გარეშე	2
11	მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა	წინაპირობის გარეშე	3
12	მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა	წინაპირობის გარეშე	3
13	მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა	წინაპირობის გარეშე	2
14	მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა	წინაპირობის გარეშე	2
15	ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	4
16	მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები	წინაპირობის გარეშე	6
17	ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები	წინაპირობის გარეშე	5
18	ბიოქიმია	<ol style="list-style-type: none"> 1. ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები; 2. ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. 	4
19	მიკრობიოლოგიის საფუძვლები	<ol style="list-style-type: none"> 1. ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები; 	4

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

20	ფარმაკოლოგია	<ol style="list-style-type: none"> 1. ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები; 2. ბიოქიმია; 3. სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია; 4. მიკრობიოლოგიის საფუძვლები 	7
21	ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები	<ol style="list-style-type: none"> 1. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში 	8
22	ანალიზური ქიმიის საფუძვლები	<ol style="list-style-type: none"> 1. ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები; 2. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში 	4
23	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1	<ol style="list-style-type: none"> 1. ანალიზური ქიმიის საფუძვლები 	4
24	სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2	<ol style="list-style-type: none"> 1. სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1 	6
25	ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა	<ol style="list-style-type: none"> 1. ანალიზური ქიმიის საფუძვლები 	5
26	ბოტანიკა	წინაპირობის გარეშე	4
27	სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული	<ol style="list-style-type: none"> 1. ბოტანიკა; 2. ანალიზური ქიმიის საფუძვლები; სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია. 	7
28	სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	4

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

29	პირველადი გადაუდებელი დახმარება	საბაზო განათლება	3
სულ 109 კრედიტი			
არჩევითი მოდული			
№	მოდულის დასახელება		კრედიტი
30	მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები	წინაპირობის გარეშე	3
სულ 3 კრედიტი			

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
- დაადგინოს თანხმობა დოკუმენტაციასთან იგივეობა;
- შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
- განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი;
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება-მარკირება;
- მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები;
- გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
- განახორციელოს ანგარიშის მომზადება-ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ ;
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“;
- „პროფესიული სტანდარტის, ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულის შემუშავების წესი“;
- პროფესიული სტანდარტი: ფარმაცევტის თანაშემწე
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO – 2008).
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED – 2013).
- ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური სახეები.
- ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივა პროფესიებში კვალიფიკაციების რეგულირებასთან დაკავშირებით

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

- ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2013 წლის 20 ნოემბრის 2013/55 დირექტივა, პროფესიებში კვალიფიკაციების რეგულირებასთან დაკავშირებით 2005/36 დირექტივის ცვლილება

საგანმანათლებლო პროგრამის დანართები:

დანართი 1 - ინფორმაციული წიგნიერება 2

დანართი 2 - მეწარმეობა 3

დანართი 3 - ინგლისური ენა

დანართი 4 - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში

დანართი 5 - სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგია

დანართი 6 - სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება

დანართი 7 - მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება

დანართი 8 - მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება

დანართი 9 - პროდუქციის მიღება- განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება

დანართი 10 - მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში

დანართი 11 - მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა

დანართი 12 - მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა

დანართი 13 - მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა

დანართი 14 - მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა

დანართი 15 - ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები

დანართი 16 - მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები

დანართი 17 - ანატომია-ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები

დანართი 18 - ბიოქიმია

დანართი 19 - მიკრობიოლოგიის საფუძვლები

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

დანართი 20 - ფარმაკოლოგია

დანართი 21 - ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები

დანართი 22 - ანალიზური ქიმიის საფუძვლები

დანართი 23 - სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1

დანართი 24 - სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2

დანართი 25 - ტოქსიური ნივთიერებების ბიოლოგიური მასალიდან იზოლირება და აღმოჩენა

დანართი 26 - ბოტანიკა

დანართი 27 - სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული

დანართი 28 - სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები

დანართი 29 - პირველადი გადაუდებელი დახმარება

დანართი 30 - მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები

დანართი 31 - ქართული ენა A2

დანართი 32 - ქართული ენა B 1

დანართი 33 - სასწავლო გეგმა

დანართი 34 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი